

გ-04/424-16

05.12.16.



შესიგნირებისა და სამოქალაქო თანასტონობის საპიტხებული  
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აკარატი

OFFICE OF THE STATE MINISTER OF GEORGIA  
FOR RECONCILIATION AND CIVIC EQUALITY

N 2793  
02/12/2016

2793-1-2-201612021200



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარეს  
ქალბატონ ანა ნაცვლიშვილი

ქალბატონ ანა,

თქვენი ა.წ. 21 ნოემბრის №გ-04/440-16 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის“ 2016 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით გაიმართა სხვადასხვა თემატური საინფორმაციო ხასიათის არაერთი შეხვედრა. შეხვედრებზე ყურადღება იყო გამახვილებული მათ შორის გენდერული თანასწორობის საკითხებზე (ადრეული ქორწინების ჩათვლით).

გარდა ამისა, სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და საქართველოში მოქმედი მშვიდობის ფონდის ორგანიზებით ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიაში ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „ქალთა უფლებები და ჩართულობა“. ასევე, გარდამანში გაიმართა ოთხი შეხვედრა ადგილობრივ მასწავლებლებთან ქალთა აქტიურ მონაწილეობის საკითხზე.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით და საქართველოს იუსტიციის სამინისტრის ჩართულობით მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ სადახლოს საზოგადოებრივ ცენტრში გაიმართა შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან ადამიანით ვაჭრობის, ოჯახში ძალადობისა და ეთნიკური უმცირესობების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ვინაიდან შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს არ გააჩნია ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსი პროგრამებისა და ღონისძიებების განსახორციელებლად, გენდერულ ასპექტებთან დაკავშირებული ხარჯები გათვალისწინებულია ბიუჯეტის ადმინისტრაციულ ხარჯვით ნაწილში.

პატივისცემით,

ზვიად ზვიადაძე

დეპარტამენტის უფროსი

აფხაზეთის ა/რ, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის საკითხთა და სამოქალაქო ინტეგრაციის დეპარტამენტი